პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 184 (5214)

1974 წ. 17 სექტემბერი, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## სომეხი ველოსიპედისტის „ოქროს ტრასა"

ერევანი, 15 სექტემბერი. არარატის ველის ვენახებს შორის მდებარე ნაცნობი გზა, რომელიც წვრთნისას არაერთხელ გაუვლია ერევნის დინამოელ ველოსიპედისტს, 25 წლის ნ. ავეტისიანს, „ოქროს ტრასად" იქცა მისთვის. სწორედ ამ გზაზე მოიპოვა ავეტისიანმა თავის სპორტულ კარიერაში პირველად სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი, როცა ინდივიდუალური საგზატკეცილო რბოლა მოიგო 50 კილომეტრზე. გამარჯვებულის შედეგია 1:05.53,52. ოქროს მედლით ჩემპიონის დამრიგებელი — სომხეთის სსრ დამსახურებული მწვრთნელი ო. ოგანესიანიც დაჯილდოვდა.

II ადგილი დაიკავა დინამოელმა ვ. პანჩენკომ (მოსკოვის ოლქი) — 1:06.08,20. ბრინჯაოს ჯილდო მშვიდობის ველორბოლისა და მონრეალის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილემ, ტარტუს დინამოელმა ა. პიკუუსმა მოიგო — 1:07.10,20.

გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს ბელორუსიის წარმომადგენლებმა — 64 ქულა. II ადგილზე გავიდნენ სომხები (59 ქულა), ხოლო III — რუსეთის ფედერაციის ველოსიპედისტები.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ვ. გორუნოვმა თქვა: „უქარო ამინდი და შესანიშნავი ტრასა ველომრბოლელთა კარგ მეკავშირეებად იქცნენ. მაგრამ მხოლოდ სასურველი კლიმატური პირობები როდი დაეხმარა სპორტსმენებს მაღალი შედეგების მოპოვებაში. მრბოლელებმა კარგი ტექნიკური და ტაქტიკური მომზადება გამოავლინეს და შარშანდელი საკავშირო ჩემპიონატის მაჩვენებლების გაუმჯობესება შეძლეს". (საკდესი).

## პირველი საკავშირო რუკითა და კომპასით

ლატვიის უფროსკლასელთა ნაკრებმა გაიმარჯვა პიონერთა და მოსწავლეთა ადგილზე ორიენტირების პირველ საკავშირო შეჯიბრებაში. ამ რესპუბლიკის წარმომადგენლებმა დამაჯერებლად გაიმარჯვეს შეჯიბრების ყველა გუნდურ სახეობაში.

საუკეთესო პირად შედეგებს მიაღწიეს 18 წლის რიგელმა სპორტის ოსტატმა ე. ბინდემ, რომელმაც კომპასითა და რუკით 8-კილომეტრიანი დისტანცია მოცემული მარშრუტით გაიარა 1 საათში, 1 წუთსა და 53 წამში, და შაულიაიელმა მოსწავლემ დ. კიალმიალიტემ. 3,5-კილომეტრიან ტრასაზე ლიტველი გოგონას შედეგია 58.12.

15-16 წლის ასაკის მოსწავლეებში გაიმარჯვა ლიტვის ნაკრებმა.

— პირველი ნაბიჯი დამაჯერებელი და იმედისმომცემი აღმოჩნდა, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს მსაჯთა კოლეგიის ხელმძღვანელმა, საკავშირო და საერთაშორისო კატეგორიების მსაჯმა, გენერალ-ლეიტენანტმა ი. ლისოვმა — გვახარებს როგორც შეჯიბრების იდეალური ორგანიზაცია, ისევე მასობრიობაც: სტარტზე გამოვიდა 14 მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის, აგრეთვე, გზათა სამინისტროს სასწავლო დაწესებულებათა ნაკრები გუნდის 400 ნორჩი ტურისტი. ყველაზე კარგად მომზადებული აღმოჩნდნენ ბალტიისპირეთის, რსფსრ-ს, უკრაინის, მოსკოვის, ლენინგრადის გუნდები, სადაც მოსწავლეთა შორის სპორტული ორიენტირება უკვე ახლა პოპულარული და მასობრივია. კანონზომიერია ლატვიისა და ლიტვის ნაკრები გუნდების გამარჯვება. ამ რესპუბლიკების მოსწავლეები სისტემატურად ხვდებიან თავიანთ თანატოლებს სხვა რესპუბლიკებიდან, ძალებს ცდიან საერთაშორისო შეჯიბრებებში სოციალისტური ქვეყნების დამეგობრებული ქალაქების მეგობრობის თასზე. ეს ასპარეზობა წლეულს რიგელებმა მოიგეს.

ადგილზე ორიენტირება მომავლის სპორტია: იგი ნებისმიერი ასაკისთვისაა ხელმისაწვდომი, ხოლო თვისებები, რომელთაც იგი გამოუმუშავებს ახალგაზრდობას — საზრიანობა, მიზანსწრაფვა, გარემოში გარკვევა, — ცხოვრებაში ყველას გამოადგება.

ხ. ვაინტრაუბასი.
ვილნიუსი.

საკდესი

## სტუდენტთა სწრაფი ბორბლები

სიმფეროპოლი, 15 სექტემბერი. ევროპის სტუდენტ ველომრბოლელთა აქ დაწყებულ პირველ ოფიციალურ ჩემპიონატში როგორც ვიუწყებოდით, საბჭოთა სპორტსმენებმა შესანიშნავად აიღეს სტარტი. ყირიმის ნახევარკუნძულის ტრასებზე გამართულ 75-კილომეტრიან გუნდურ რბოლაში გამარჯვების შემდეგ მათ 100 კილომეტრზე ჯგუფურ რბოლაშიც ყველას აჯობეს. საუკეთესო იყო მოსკოველი ა. ვასკოვსკი — 2:41.21,1. მომდევნო ოთხ ადგილზეც მასპინძლები გავიდნენ.

დაძაბულად წარიმართა სიმფეროპოლის ქუჩებში გამართული კრიტერიუმი 59,5 კილომეტრზე (ეს შეჯიბრება უკონკურსოდ ჩატარდა). წარმატებით იასპარეზეს გფრ-ის მრბოლელებმა: პირველი იყო გ. ტროტი, მეორე — კ.-ჰ. ბონენი.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: სსრ კავშირი, გფრ, იტალია, ჩეხოსლოვაკია, ბელგია (ბულგარელები ჩემპიონატის მეორე დღეს რბოლას გამოეთიშნენ და საერთო ჩათვლა არ მიუღიათ).

ახალ გაზეთი
ჩვენი
მკითხველის
თვის
იყო... 19 45

◆ ლაიპციგი, 16 სექტემბერი. გდრ-ისა და სსრ კავშირის იუნიორ მძლეოსანთა აქ გამართული მატჩი სტუმრების ორმაგი გამარჯვებით დასრულდა: საბჭოთა ჭაბუკებმა მეტოქეს სძლიეს ანგარიშით 131:102, ქალიშვილებმა — 78:68. განსაკუთრებით მძაფრი გამოდგა შეჯიბრება ათჭიდში, სადაც ვ. ბურიაკოვმა მხოლოდ 5 ქულით აჯობა ზ. შტარკს. გამარჯვებულის შედეგია 7574 ქულა.

◆ ბერლინი, 16 სექტემბერი. გდრ-ის დინამოელებმა ყველას აჯობეს აქ მოწყობილ XVI მძლეოსნურ სპარტაკიადაში, რომელშიც, აგრეთვე, მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის დინამოელები და მათი მონათესავე საზოგადოებების წარმომადგენლები. მასპინძლებმა 13 ოქროს, 6 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედალი მოიგეს. II ადგილზე არიან სსრ კავშირის დინამოელები, რომლებმაც 6 ოქროს, 8 ვერცხლისა და 12 ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭეს.

## მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

## გაიხსნა!

15 სექტემბერს მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიხსნა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი ა. კარპოვსა და ვ. კორჩნოის (ორივე — სსრ კავშირი) შორის.

გთავაზობთ მატჩის განრიგს: კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში თამაშის დღეებია 16, 18, 20, 22, 25, 30 სექტემბერი, 2, 4 ოქტომბერი; ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში — 27 სექტემბერი, 7, 9, 11, 14, 18, 21, 23, 28, 30 ოქტომბერი.

თამაშის დასაწყისი 19 ს. გადადებული პარტიები შედგება კავშირების სახლის ოქტომბრის დარბაზში პარტიის გათამაშების მეორე დღეს. გადადებული პარტიები ერთი საათით ადრე დაიწყება.

მატჩის საზეიმო გახსნაზე წილისყრით გაირკვა, რომ პირველ პარტიაში თეთრებით კორჩნოი თამაშობს.

## ახლა ვოლკოვა

თბილისში მიმდინარეობს ყრუმუნჯ მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატი. ვიდრე VIII ტური შედგებოდა, გადადებული პარტიების დამთავრება მოეწყო. ა. ვოლკოვამ (ვოროშილოვგრადი) მოუგო ერთპიროვნულ ლიდერს ე. გრიგორიევას (ლენინგრადი) და დაეწია მას. VIII ტურში ვოლკოვამ ფ. ნიგმატზიანოვა (ყაზანი) დაამარცხა და ჩემპიონატს სათავეში თავად ჩაუდგა.

სსრ კავშირის ჩემპიონმა ჰ. სამოხინამ (ოდესა) აქტივში 2 ქულა ჩაიწერა: გ. გრებერს (ალმა-ათა) და ნ. ლოგინოვას (მინსკი) სძლია.

ზედიზედ მეოთხე პარტია მოიგო ლ. გაივორონოვამ (ლენინგრადი), ამჯერად ა. ხრულიოვას (ოდესა) აჯობა.

VIII ტურში შეხვედრების უმრავლესობა დაუმთავრებელი დარჩა. გაივორონოვა დაუზავდა ა. როსინსკაიას (მოსკოვი), რ. ტარმანოვა (თბილისი) დამარცხდა ლ. ანდრიევსკაიასთან (ფრუნზე).

8 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ვოლკოვა — 6,5 ქულა, გრიგორიევა — 5,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, როსინსკაია — 5,5, სამოხინა, ვ. ვოლიუვაჩი (ხარკოვი) — 5-5 (1-1), გაივორონოვა — 5.

თ. ნინოშვილი.

## მოუშაშე ქალთა სტარტი

ჩიმკენტში (უზბეკეთი) სტარტი აიღო რუსულ შაშში ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალმა. ჩემპიონის ოქროს მედლისთვის ბრძოლაში 16 მოშაშე ჩაება, მათ შორის არიან ჩემპიონები: სსრ კავშირისა — ე. სოროკინა (ბელორუსია), რუსეთის ფედერაციისა — ნ. გალაშოვა, უკრაინისა — ზ. ლანოვაია, ტაჯიკეთისა — ა. მარგოლინა, ყაზახეთისა — ვ. შკარუპილო, ლატვისა — ს. ინგაუნიტე.

პირველ დღეს გაიმარჯვეს მოსკოველმა ოსტატმა რ. გაგარინამ, ლანოვაიამ და სსრ კავშირის ექსჩემპიონმა მ. იაკოვენკომ (ბაქო).

## ჩიგორინის მემორიალზე

სოჭში გრძელდება გამოჩენილი რუსი მოჭადრაკის მ. ჩიგორინის X მემორიალი, რომელშიც უკვე 6 ტურია გათამაშებული. ლიდერთა ჯგუფს თავკაცობს მოსკოველი დიდოსტატი ლ. პოლუგაევსკი (5 ქულა). მას კვალში მიჰყვებიან თანაქალაქელი დიდოსტატები ა. სუეტინი და რ. ხოლმოვი — 4-4.

VI ტურში კარგად ითამაშეს ვ. სმისლოვმა და ვ. სვეშნიკოვმა (ორივე — სსრ კავშირი), რომლებმაც სძლიეს შესაბამისად დიდოსტატ კ. რობაჩს (ავსტრია) და ოსტატ ა. შნაპიკს (პოლონეთი).

## გამარჯვება რეკორდებით

სვერდლოვსკში დამთავრდა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა პირად-გუნდური პირველობა ახალგაზრდა მესტენდურეთა შორის.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტსმენებმა შესანიშნავად იასპარეზეს და საერთო გუნდური I ადგილი დაისაკუთრეს. ორივე ვარჯიშის ჯამში მათ 51,5 ქულა მოაგროვეს.

II ადგილი ხვდა ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის ნაკრებს — 48 ქულა, ხოლო III — კარპატისპირეთის სამხედრო ოლქის მესტენდურეთა კოლექტივს — 33.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის წარმომადგენლებმა ყველას აჯობეს ადგილიდან სროლაში. მათ 300-დან 289 სამიზნე გატეხეს და შეიარაღებული ძალების საკავშირო რეკორდი დაამყარეს ახალგაზრდებს შორის. პირადი ტურნირი მოიგო თბილისელმა გ. ამირხანოვმა — 145 ქულა 150-დან. ესეც შეიარაღებულ ძალთა საკავშირო რეკორდია ამ ასაკში. II ადგილზე გავიდა ამირხანოვის თანაგუნდელი ვ. პეტროსიანი — 144.

მრგვალ სტენდზე სროლა მოიგო შუა აზიის სამხედრო ოლქის გუნდმა—280 ქულა. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტსმენები 270 ქულით VII ადგილს დასჯერდნენ.

საქართველოს სსრ დამსახურებულ მწვრთნელს ნოე ლობჟანიძეს შუბის ტყორცნაში ბევრი სპორტის ოსტატი აღუზრდია, რომლებსაც რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში წარმატებით უასპარეზიათ. ამჟამად მისი მოსწავლეები მორიგი სტარტებისთვის ემზადებიან. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია საქართველოს პირველობა, რომელიც თბილისში ამ დღეებში დაიწყება.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ნ. ლობჟანიძე რ. კობიაშვილთან და ს. ნოვოსელცოვასთან მორიგი მეცადინეობისას.

მ. ზარგარიანის ფოტო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით



თბილისის განათლების განყოფილების ცენტრალური ტანვარჯიშული სკოლა სპორტის ამ სახეობის ნამდვილი სამჭედლოა.

სკოლაში დილიდან საღამომდე არ წყდება საწვრთნელი მეცადინეობა. ჭაბუკები და გოგონები გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით ეუფლებიან ტანვარჯიშის ურთულეს ილეთებს, იმაღლებენ ტექნიკას, ემზადებიან დიდ სარბიელზე გასასვლელად.

ჩვენი ფოტორეპორტიორის მ. ზარგარიანის გადაღებულ სურათზე თქვენ ხედავთ სკოლის აღსაზრდელთა ერთ ჯგუფს — ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით მოასპარეზე ქალიშვილებს, რომლებიც ქორეოგრაფ რ. პროკოპენკოს ხელმძღვანელობით სხვადასხვა ილეთს ეუფლებიან. ჯგუფში გაერთიანებული არიან სპორტის ოსტატ ე. გაგოშიძისა და გ. კილაძის აღსაზრდელები, მათ შორის საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრები თ. ლაფერაშვილი და ჟ. ბიჭიკაშვილი, რომლებიც გულდაგულ ემზადებიან სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში საქართველოს სპორტული ღირსების დაცვისთვის.

ჩვენი ბათუმელი კორესპონდენტი ო. მურვანიძე გვატყობინებს:

# მეგობრობა გზად და ხიდად

## სტუმრად კიროვაკანსა და ერევანში

„განთიადის" აჭარის საოლქო საბჭოსა და სომხეთის ქალაქების ერევნისა და კიროვაკანის სპორტულ ორგანიზაციებს დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ. ისინი ყოველწლიურად აწყობენ ამხანაგურ შეხვედრებს რამდენიმე სახეობაში.

ამას წინათ ბათუმელი სპორტსმენები სტუმრად იყვნენ კიროვაკანსა და ერევანში. კიროვაკანში ბათუმელების მეტოქეები იყვნენ ადგილობრივი „აშხატანკის" წარმომადგენლები.

ბათუმელმა ფრენბურთელმა ვაჟებმა პირველ დღეს ანგარიშით 8:2 სძლიეს მასპინძლებს, მეორე დღეს კი „დინამოს" ძლიერ გუნდს აჯობეს — 8:1.

მაგიდის ჩოგბურთში პირველი შეხვედრა „აშხატანკმა" მოიგო — 4:2, მეორე დღეს ბათუმელები კიროვაკანის ნაკრებთან ასეთივე ანგარიშით დამარცხდნენ. სტუმრებმა წააგეს (8:7) ამხანაგური მატჩი თავისუფალ ჭიდაობაშიც, ხელბურთელ გოგონათა შეხვედრაში კი აჭარის წარმომადგენლებმა იმარჯვეს — 11:9.

მერე ბათუმელებმა გეზი ერევნისკენ აიღეს და იქ ამხანაგური შეხვედრები გამართეს ადგილობრივ „ნაირისთან".

განთიადელებმა ფარიკაობაში ანგარიშით 6:4 დაამარცხეს მასპინძლები. დაშნით პირად ტურნირში 10 სპორტსმენი იბრძოდა. ბრწყინვალედ იასპარეზა ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის წარმომადგენელმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ზ. მორჩილაძემ. მან ბევრ სპორტის ოსტატს დააურევინა ფარხმალი და პირველობა მოიპოვა.

ფრენბურთში სტუმარმა ვაჟებმა ცხარე ბრძოლის შემდეგ სძლიეს მასპინძლებს — 8:2.

მაგიდის ჩოგბურთში (5:2) და ხელბურთელ ქალთა ასპარეზობაში (14:12) მასპინძლებმა გაიმარჯვეს.

სტუმრებმა კიროვაკანსა და ერევანში დაათვალიერეს ღირსშესანიშნაობანი, საუკეთესო სპორტული ნაგებობანი, იყვნენ სევანის ტბაზე და მშობლიურ ქალაქში კმაყოფილი დაბრუნდნენ.

# კეთილისმყოფელი გავლენა

დოსააფის გორის ტექმომზადების სკოლის ეზოში უჩვეულო ფუსფუსია: აქ გამოსაშვებ გამოცდას აბარებენ მომავალი შოფრები. საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე ვ. ხაბელაშვილი მათგან ღრმა თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას მოითხოვს.

— ჩვენ აღარ გამოგვადგებიან ნაკლებად მცოდნე შოფრები. წადი, ისწავლე და ისე მოდი, — უთხრა მან მეექვსედ თუ მეშვიდედ მისულ ერთ-ერთ ახალგაზრდას.

გორის ტექმომზადების სკოლამ (უფროსი შ. კოტია) წლეულს სახალხო მეურნეობას სამოცის ნაცვლად 75 მეორე კლასის შოფერი მოუმზადა, მესამე კლასისა კი — 105. საბჭოთა არმიისთვის სპეციალური კონტინგენტის გამოშვების დავალება 100 პროცენტითაა შესრულებული. სამხედრო ნაწილებიდან უკვე მოდის მადლობის წერილები ამ სკოლის კურსდამთავრებულთა გამო. გულს უხარია, როცა კითხულობ ვ. სართანიას საქებ წერილს. ჭაბუკი სულ თვენახევარია, რაც სამხედრო ნაწილში მსახურობს და უკვე დაიმსახურა მეთაურების ქება. ასეთივე შინაარსის წერილები მოვიდა გ. მაისურაძის, ნ. სააკიანის, ზ. მინდიაშვილის სასახელო საქმეების გამო. მათ ხომ ფრიადზე დაამთავრეს ტექმომზადების სკოლის თეორიული და პრაქტიკული კურსი და პირდაპირ საბჭოთა არმიაში წავიდნენ სამსახურისთვის.

სკოლის მსმენელთა საფუძვლიანი ცოდნით შეიარაღებისთვის დაუღალავად იღვწიან და დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ თეორიის მასწავლებლები გ. ბერძნიშვილი, გ. ინაური, ლ. მათოშვილი და პრაქტიკის ხელმძღვანელი ნ. კასოშვილი.

დოსააფის გორის საქალაქო კომიტეტი (თავმჯდომარე ქ. კორაევი) ამ სკოლის კურსდამთავრებულთაგან საუცხოოდ მომზადებულ კადრებს უზრდის სამშობლოს სამხედრო და სამოქალაქო საქმიანობისთვის. მაგალითად, ვ. რუსიტაშვილი, რომელსაც ტექმომზადებაში სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმა აქვს შესრულებული, თავის აღმზრდელ სკოლაში მეთოდისტად მუშაობს და აქტიურად მონაწილეობს დოსააფის საქალაქო კომიტეტის სამხედრო-სპორტულ ღონისძიებებში.

ამას წინათ VI სპარტაკიადის პროგრამით გაიმართა გოგონათა და ჭაბუკთა პარად-გუნდური პირველობა საშუალო სკოლებს შორის. გაიმარჯვეს მე-6 რუსული სკოლის აღსაზრდელებმა (სამხედრო-ფიზკულტურული მომზადების ხელმძღვანელი ვ. ამბროლაძე). თავი გამოიჩინეს ამ სკოლის აღსაზრდელებმა ნ. კორაევამ, თ. ღვინიაშვილმა და გ. აბაზიშვილმა.

დოსააფის საქალაქო კომიტეტის მიერ წლეულს გამართულ ღონისძიებათა შორის დიდი მასობრიობით აღინიშნა მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება სპორტის ტექნიკურ სახეობებში. ეს შეჯიბრება წვევამდელებში ორ ეტაპად ჩატარდა. სარბიელზე 350-მდე ახალგაზრდა გამოვიდა. ნორმატივები წარმატებით ჩააბარა 126 კაცმა, მათგან 42 მოასპარეზემ — ოქროს სამკერდე ნიშანზე.

ტექმომზადების სკოლის აქტივისტებისა და დოსააფის საქალაქო კომიტეტის ახლო ურთიერთობა კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს ქალაქის ახალგაზრდობის სამხედრო-ტექნიკურ აღზრდაზე, რაც ერთობ მისასალმებელია.

ი. თევდორაშვილი,
(ჩვენი კორ.).

გორი.

# მორიგი ტირაჟის შედეგები

შეჯამდა „სპორტლოტოსა" და „სპორტლოტო-2"-ის 25-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც, როგორც ცნობილია, 10 სექტემბერს გაიმართა მოსკოვში.

**„სპორტლოტო":** ექვსი ნომრის გამოცნობა ვერავინ შეძლო, ხუთი ნომერი იღბლიანადაა გადახაზული 76 ბარათზე და თითოეულ მათგანს მაქსიმალური მოგება ხვდა — 5000 მანეთი. ოთხი ნომრის გამოცნობისთვის (6194 ბარათი) მოგება 72 მანეთია, ხოლო სამისთვის (138468) — 4 მან.

**„სპორტლოტო-2":** 6 ციფრი იღბლიანად ერთმა კაცმა გადახაზა და იგი 5000 მანეთს მიიღებს. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის (50 ბარათი) მოგება 1664 მანეთია, ოთხისთვის (2525) — 36 მანეთი, სამისთვის (42182) — 3 მან.

მოგებათა გაცემა — შემნახველ სალაროებში 21 სექტემბრიდან 20 ოქტომბრის ჩათვლით.

განვლილ ტირაჟებში საქართველოში ბევრმა მოიგო დიდი თანხა. „სპორტლოტოს" 22-ე ტირაჟში 2134 მანეთი ხვდა ბათუმელ ზ. ლომინაძეს. „სპორტლოტოს" 23-ე ტირაჟში თბილისელმა ი. ხელაიამ 1411 მანეთი მოიგო, ხოლო „სპორტლოტო-2"-ის ამავე ტირაჟში ზესტაფონელმა დიასახლისმა ა. აბესაძემ — 981 მან.

„სპორტლოტოს" 24-ე ტირაჟში 5-5 ნომრის იღბლიანად გადახაზვისთვის 2506-2506 მანეთი ერგოთ ლენინის სახელობის ელმავალსაშენი ქარხნის ზეინკალს ვ. ნიადაგიშვილს, თბილისის ავტოინსპექციის მუშაკს გ. ბექაურს, ფოთის წისქვილკომბინატის დაცვის მუშაკს ა. ღვამბერიას.

**გ. ქალმახელიძე,**
**„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველოს საორგანიზაციო-სარეკლამო განყოფილების უფროსის მოადგილე.**

# საქმიანი საუბარი

გაიმართა აჭარის სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის მორიგი სხდომა, რომელმაც მოისმინა ფიზიკური კულტურისა და სპორტის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარის ზ. მამუჭაძის ინფორმაცია საქართველოს VI სპარტაკიადისთვის აჭარის გუნდების მზადების შესახებ. მან აღნიშნა, რომ რიგი სახეობების წარმომადგენლებს არა აქვთ მეცადინეობის სათანადო პირობები, ხოლო აკადემიურ ნიჩბოსნობაში ნაკრები გუნდი საერთოდ დაუკომპლექტებელია, ვინაიდან „ვოდნიკის" რესპუბლიკურმა საბჭომ ნიჩბოსნები საჭირო ინვენტარით ვერ მოამარაგა.

საორგანიზაციო კომიტეტმა დაამტკიცა ქალაქ ბათუმისა და აჭარის ასსრ სპარტაკიადების დებულებები.

ბათუმის საწარმო-დაწესებულებათა შიდასაკოლექტივო სპარტაკიადების შედეგებზე ინფორმაციით გამოვიდა ბათუმის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ე. თხილაიშვილი.

უკვე ჩატარდა სპარტაკიადები ქალაქის 136 ფიზკულტურულ კოლექტივში. შეჯიბრებებში 6500-ზე მეტი კაცი მონაწილეობდა. მათ შორის 1400 ფიზკულტურელმა სხვადასხვა თანრიგის ნორმატივები შეასრულა, ხოლო 1200 კაცმა მშდ კომპლექსის მოთხოვნები ჩააბარა. კარგად მოეწყო შეჯიბრებები ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის, ხის დამმუშავებელი კომბინატის, ცენტრალური ნავთობგადასატვირთი ბაზის, სამკერვალო საწარმოო გაერთიანების, მანქანათსაშენი და გემთსაშენი ქარხნების, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს, პედაგოგიური ინსტიტუტის, სამედიცინო სასწავლებლისა და საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის ფიზკულტურულ კოლექტივებში. სამწუხაროდ, დღემდე არ მოუწყვიათ შეჯიბრებები № 5 სამშენებლო ტრესტის, ციტრუსკომბინატის, რძის ქარხნის, ხორცკომბინატის, მედიცინისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირების კოლექტივებს.

საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე სიტყვებით გამოვიდნენ ნაკრები გუნდების მწვრთნელები და სპორტსმენები. მათ ილაპარაკეს მზადების ხელშემშლელ პირობებზე.

საორგანიზაციო კომიტეტმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება ბავშვთა კომპლექსური სპორტული სკოლის გაჭიანურებულ მშენებლობაზე. № 5 სამშენებლო ტრესტის მთავარმა ინჟინერმა გ. ჩახვაძემ კომიტეტს მოახსენა, რომ ახლა ობიექტი სამშენებლო მასალებით უზრუნველყოფილია და მუშაობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ლ. დავითაძემ. მან გააანალიზა საქართველოს VI სპარტაკიადისთვის აჭარის გუნდების მზადების მიმდინარეობა და საორგანიზაციო კომიტეტის წევრთა, ფიზკულტურული ორგანიზაციებისა და სპორტსაზოგადოებათა ხელმძღვანელების ყურადღება გაამახვილა ჩამორჩენილი საკითხების დროულად მოგვარებაზე, ხარვეზების აღმოფხვრის აუცილებლობაზე.

საორგანიზაციო კომიტეტის სხდომას ესწრებოდნენ აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მ. ქაჯაია, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსი ა. კაჭარავა, აჭარის პროფსაბჭოს თავმჯდომარე მ. ეკიზაშვილი, პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი შ. ოქროპირიძე, აჭარის ასსრ განათლების მინისტრი ვ. წულუკიძე.

# შვიდ სახეობაში

აჭარის სპორტულ ბაზებზე დამთავრდა ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების პროფკავშირების საოლქო სპარტაკიადა, რომელშიც რაიონების ნაკრები გუნდებისა და ქალაქ ბათუმის ფიზკულტურის კოლექტივების 400-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. პროგრამაში იყო ფრენბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, მძლეოსნობა, ტყვიის სროლა, ჭადრაკი და შაში.

რაიონებს შორის გუნდური I ადგილი დაიკავა ხელვაჩაურის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ნაკრებმა, ხოლო ქალაქის ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის იმარჯვა სამსხმელო-მექანიკური ქარხნის კოლექტივმა.

სპარტაკიადის პერიოდში მშდ კომპლექსის ნორმატივები ჩააბარა 156 კაცმა, მოამზადა 252 თანრიგოსანი.



სსრ კავშირის პირველობა

## ჩემპიონატის ქრონიკა

14 და 15 სექტემბერს გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი, XXII ტურის შეხვედრები.

„დინამო“ (კიევი) — „ჩერნომორეცი“ 2:0. კიეველებმა ამ მატჩის მოგებით კიდევ უფრო განიმტკიცეს ჩემპიონობისთვის ბრძოლის პოზიციები. ოდესელთა კარში ბურთები გაიტანეს ბლოხინმა და ონიშჩენკომ. ბლოხინი ახლა 14 გოლით კვლავ გაუთანაბრდა ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერს ალმაათელ იონკინს.

„სპარტაკი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 0:0.

„ტორპედო“ — „ზენიტი“ 2:1. ანგარიში მე-4 წუთზე გახსნა ტორპედოელთა კაპიტანმა ნიკონოვმა, ხოლო 59-ე წუთზე დეგტიარიოვმა მეორე ბურთი გაგზავნა „ზენიტის“ კარში. 72-ე წუთზე ხრომჩენკოვმა შეძლო ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა.

„შახტიორი“ — „ფახთაქორი“ 2:1. მასპინძლებმა პირველ წარმატებას მიაღწიეს 32-ე წუთზე (ვასინი), ხოლო შემდეგ ტაშკენტელთა ერთ-ერთმა მცველმა თავის საჯარიმო მოედანზე უხეშად ითამაშა სტარუხინის წინააღმდეგ. პენალტი ზუსტად დაარტყა იმავე სტარუხინმა — 2:0. სტუმრებმა მხოლოდ ის შეძლეს, რომ თავი დააღწიეს „მშრალი“ ანგარიშით წაგებას.

„კარპატი“ — „ნისტრუ“ 8:0. აუტსაიდერთა ამ მნიშვნელოვან მატჩში ლვოველ ფეხბურთელებს სრული უპირატესობა ჰქონდათ მთელი თამაშის მანძილზე.

• • •

„ზარიასი“ და „ქაირათის“ შეხვედრა გადმოტანილია დღეისთვის.

## რაგბი

### ერთი შეხვედრა

გუშინწინ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. კიევში ადგილობრივი სამოქალაქო ავიაციის ინჟინერთა ინსტიტუტის კოლექტივმა დაამარცხა მოსკოვის ოლქის ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი — 11:7 (8:3).

• •

### უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა

კრასნოიარსკში დამთავრდა პირველი ლიგის გუნდების საკავშირო შეჯიბრება რეგბიში. გადამწყვეტ შეხვედრებში მონაწილეობდნენ ადგილობრივი „პოლიტექნიკი“, კიევის „დინამო“, ალმა-ათის „ბურევესტნიკი“ და მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი, რომელიც შარშან უმაღლეს ლიგას გამოეთხოვა.

მოსკოველმა სტუდენტებმა ფინალური შეხვედრები მაღალ დონეზე ჩაატარეს, I ადგილი დაისაკუთრეს და გაისისთვის უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვეს.

# ისევ ნულოვანი ფრე

დნეპროპეტროვსკი. „მეტეორის“ სტადიონი. 15 სექტემბერი.

„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „დინამო“ (თბილისი) 0:0.

„დნეპრი“: კოლტუნი, კოვბა, ნაიდა, ბოგდანოვი, პილიპჩუკი, სოლოვიოვი, შნეიდერმანი, ევსეენკო (პორკუიანი), იაკოვლევი, შელესტი (ხრისტიანი), სლობოდიანი.

„დინამო“: გაგოშიძე, გავაშელი, ჰელიძე, ხურცილავა, ებრალიძე, გ. მაჩაიძე, მ. მაჩაიძე, ასათიანი (ძოძუაშვილი), გუცაევი, გ. ნოდია (რეხვიაშვილი), ესებუა.

მსაჯი ვ. ფარდმანი (ეისკი).

დუბლიორები — 3:3.

მატჩი, რომლის შედეგსაც ორივე გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, საკმაო ხნის მანძილზე მინდვრის შუაგულში მიმდინარეობდა და ტემპიც ნელი იყო. როგორც მასპინძლები, ისე სტუმრები, საკუთარი კარის დაცვას უფრო მეტ ყურადღებას უთმობდნენ, ვიდრე მოპირდაპირე კარის იერიშს. ტაიმმა ისე განვლო, გოლის გატანის რეალური შესაძლებლობა თითქმის არც ყოფილა.

ბრძოლის სურათი მეორე ტაიმის დასაწყისშიც არ შეცვლილა. მაგრამ შემდგომში „დნეპრმა“ უმატა ტემპს, თავდამსხმელები გააქტიურდნენ, უფრო გაბედულად ამოქმედდნენ და ამან დინამოელებიც აიძულა „ხელი გაენძრიათ“. იაკოვლევს, სლობოდიანს, ხრისტიანს მიეცათ წარმატების მიღწევის შანსი, რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო გაგოშიძემ და თბილისელთა დაცვას საგრძნობი დატვირთვა დააწვა. სახიფათო მომენტები შექმნეს, თავიანთს მხრივ, ნოდიამ, გუცაევმა, რეხვიაშვილმა.

საბოლოოდ, ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო გოლის გატანა და, ისევე როგორც პირველ წრეში, მეტოქეები ნულოვან ფრეს დასჯერდნენ.

## საფეხბურთო ლიგა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ.“ (კ.) | 22 | 11 | 9 | 2 | 34—12 | 31 |
| „ტორპედო“ | 22 | 10 | 6 | 6 | 28—20 | 26 |
| „ჩერნომ.“ | 22 | 9 | 8 | 5 | 30—24 | 26 |
| „სპარტაკი“ | 22 | 9 | 8 | 5 | 22—18 | 26 |
| „დინ.“ (მ.) | 22 | 8 | 9 | 5 | 32—21 | 25 |
| „ზენიტი“ | 22 | 6 | 13 | 3 | 26—27 | 25 |
| „შახტიორი“ | 22 | 7 | 10 | 5 | 25—23 | 24 |
| „დნეპრი“ | 22 | 7 | 8 | 7 | 18—23 | 22 |
| „არარატი“ | 21 | 7 | 7 | 7 | 21—18 | 21 |
| „ქაირათი“ | 20 | 6 | 8 | 6 | 29—27 | 20 |
| „ფახთაქორი“ | 21 | 6 | 7 | 8 | 32—34 | 19 |
| ცსკა | 22 | 5 | 8 | 9 | 23—28 | 18 |
| „დინ.“ (თბ.) | 22 | 4 | 10 | 8 | 16—27 | 18 |
| „კარპატი“ | 19 | 3 | 9 | 7 | 16—20 | 15 |
| „ზარია“ | 21 | 4 | 7 | 10 | 22—35 | 15 |
| „ნისტრუ“ | 22 | 3 | 7 | 12 | 26—43 | 13 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## II ლიგა III ზონა

14 სექტემბერს გამართული მორიგი მატჩების შესახებ ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

### „დინამო“ (ბათუმი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 2:0

ამ ორი გუნდის შეხვედრას ბათუმში მუდამ დიდი ხალისით ესწრება მაყურებელი, ახლა კი, როცა ორივე მხარეს ქულები ჰაერივით სჭირდება და ბრძოლას საგანგებო მნიშვნელობა ენიჭებოდა, სტადიონის ტრიბუნები სავსე აღმოჩნდა.

გულშემატკივართა იმედები სავსებით გამართლდა. მათ იხილეს საინტერესო მომენტებით აღსავსე, შინაარსიანი თამაში. მასპინძლებს თავიანთი სალიდერო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ძალ-ღონე არ დაუზოგავთ. მათ არც სტუმრები ჩამორჩებოდნენ, თუმცა „გურიას“ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდა.

პირველმა წუთებმა ორმხრივ იერიშებში განვლო, შემდეგ კი ინიციატივას დინამოელები დაეუფლნენ. ბურთის გატანის კარგი შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს ქიქავამ, ბეჟანიძემ, ესებუამ, რამდენიმეჯერ საუცხოოდ ითამაშა „გურიის“ მეკარე მოსეშვილმა.

შუა ტაიმში ბათუმელებმა მაინც შეძლეს ანგარიშის გახსნა: ჭეიშვილი ბურთიანად გავიდა რამდენიმე მეტოქეს შორის, გადააწოდა ჩელებაძეს, და ამ უკანასკნელმა ზუსტად დაარტყა — 1:0.

ტაიმის ბოლო წუთზე ლანჩხუთელებს მიეცათ ანგარიშის გათანაბრების ნაღდი შანსი: გაბისკირიას მიერ დარტყმული ბურთი მოხვდა ქორიძეს, შეიცვალა მიმართულება და მეკარე პავლოვს თავგანწირული ნახტომი დაჭირდა მის მოსაგერიებლად.

ბრძოლა შესვენების შემდეგ ახალი ენერგიით გაჩაღდა. ლანჩხუთელთა მცველები, განსაკუთრებით მეკარე მოსეშვილი, ხშირად იგერიებდნენ სახიფათო მომენტებს, 61-ე წუთზე კი ქიქავა—ესებუა—ბეჟანიძის კომბინაციის შემდეგ ბურთი მეორედ აღმოჩნდა სტუმრების კარში.

ლანჩხუთელ ფეხბურთელებს არც ამის მერე დაუკლიათ ცდა, ერთ-ერთ მომენტში თავაძეს შეეძლო კიდეც სხვაობის შემცირება ანგარიშში, მაგრამ ბათუმის „დინამომ“ ბოლომდე მწყობრად იბრძოლა და გამარჯვებულმა დატოვა მინდორი.

მატჩის საუკეთესო მოთამაშეთათვის დანიშნული პრიზები გადაეცათ რ. ჩელებაძეს და ლანჩხუთელ მ. ძაგანიას. კარგად ჩაატარა მატჩი რუსთაველმა არბიტრმა მ. ნადიროვმა.

### „დილა“ (გორი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 7:0

მეტოქეთა განსხვავებული მდგომარეობა სატურნირო ცხრილში ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან. „კოლხეთი“ ჩამორჩენილთა შორისაა და ყველაფერი უნდა იღონოს მდგომარეობის სახსნელად, მაგრამ მისი დღევანდელი თამაშით ვერ იტყვი, რომ გუნდს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი იბრძოლოს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად. მოთამაშეები ტექნიკურად სუსტად არიან მომზადებული, არ გააჩნიათ ტაქტიკური მთლიანობა და, ამას გარდა, ვერ იჩენენ ელემენტარულ სანებისყოფო თვისებებს. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ანგარიში კიდევ უფრო მეტი იქნებოდა მასპინძლებს საამისო სწრაფვა რომ გამოეჩინათ. ფოთელებმა ვერაფერი გააწყვეს ბურჯანაძის, ბუზალაძის, ბერიკაშვილის, ჭელიძისა და სხვათა წინააღმდეგ.

უკვე მე-3 წუთზე ჭელიძის მიერ შორიდან დარტყმული ბურთი „კოლხეთის“ კარში აღმოჩნდა, 21-ე წუთზე თაყაძემ ანგარიში 2:0-მდე გაზარდა, ტაიმის დასასრულამდე კი ბუზალაძემ კიდევ ზედიზედ ორჯერ აიღო მეტოქის კარი.

შესვენების შემდეგ სტუმრების თამაში უფრო ვალის მოხდას გავდა, ვიდრე სპორტსმენთა ბრძოლას. ბუზალაძემ, ბერიკაშვილმა და ტეტუნაშვილმა კიდევ სამჯერ დააწყებინეს მეტოქეს ცენტრიდან თამაში.

ერთადერთი შესაძლებლობა ფოთელ სანაიას მატჩის დასასრულს მიეცა, როცა პირისპირ დარჩა მეკარე კირვალიძესთან, მაგრამ ამ მომენტის გამოყენებაც ვერ შეძლო.

ასე დამთავრდა: „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „დინამო“ (ზუგდიდი) 2:1, „მერცხალი“ (მახარაძე) — „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) 0:1, „დინამო“ (კიროვაბადი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 2:1, „ფოლადი“ (სუმგაითი) — „ურალანი“ (ელისტა) 1:4, „ლორი“ (კიროვაკანი) — „ისკრა“ (სმოლენსკი) 1:1, „შირაკი“ (ლენინაკანი) — „დინამო“ (ბრიანსკი) 4:1, „ტორპედო“ (ვლადიმირი) — „დინამო“ (ვოლოგდა) 0:0, „ხიმიკი“ (ძერჟინსკი) — „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) 2:1.

# სანქციები ცუდი არბიტრობისთვის

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლო მატჩებში მსაჯებმა სერიოზული შეცდომები დაუშვეს, რაც რამდენიმეჯერ მიუთითა ცენტრალურმა პრესამ. მსაჯთა საკავშირო კოლეგიის პრეზიდიუმმა ამას წინათ განიხილა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე წრის მატჩების შედეგები და აღნიშნა, რომ ზოგიერთი მათგანი არბიტრებმა ჩაატარეს დაბალ მეთოდურ და საორგანიზაციო დონეზე. მსაჯები არასწორად ერკვევიან დარღვევათა განსაზღვრაში, გაუბედაობას იჩენენ 11-მეტრიანი დარტყმების საკითხში, ცუდად ურთიერთმოქმედებენ თავიანთს თანაშემწეებთან და არ იყენებენ ყველა უფლებას, რომლებიც თამაშის წესებით და დებულებით აქვთ მინიჭებული დისციპლინის დამრღვევ ფეხბურთელებთან საბრძოლველად.

არაკვალიფიციური, დაბალი ხარისხის მსაჯობისთვის მსაჯთა კოლეგიამ დისციპლინარული სასჯელები დაადო ზოგიერთ არბიტრს. სეზონის დასასრულამდე აეკრძალათ უმაღლესი ლიგის მატჩების მსაჯობა „სპარტაკ“ — „არარატის“ შეხვედრის მსაჯს ა. ვასილიევს (ხარკოვი), „ჩერნომორეც“ — „ზენიტის“ მსაჯს ვ. ჟარკოვს (მოსკოვი) და „დინამო“ (მოსკოვი) — „ფახთაქორის“ მსაჯს ი. ბალიკინს (დნეპროპეტროვსკი).

„სპარტაკ“ — „არარატის“ მსაჯის თანაშემწეებს ს. რეზენკინს და ვ. ტკაჩენკოს (ორივე — ხარკოვი) და „ჩერნომორეც“ — „ზენიტის“ მატჩის მსაჯის თანაშემწე პ. დემჩენკოს (მოსკოვი) სეზონის ბოლომდე აეკრძალათ უმაღლესი და პირველი ლიგების გუნდების შეხვედრათა მომსახურება. იმასთან დაკავშირებით, რომ მსაჯობის ხარისხი დააქვეითა ვ. ზუევმა (მოსკოვი), იგი მიმდინარე სეზონში არ იმსაჯებს უმაღლესი და პირველი ლიგების გუნდების თამაშებს. თავის შესაძლებლობაზე დაბლა იმსაჯა თბილისისა და კიევის დინამოელთა მატჩი ბაქოელმა ტ. ბახრამოვმა. მსაჯთა საკავშირო კოლეგიამ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ სეზონის დანარჩენი მატჩები ბახრამოვმა კარგად ჩაატარა და მის მიმართ შენიშვნით დაკმაყოფილდა.

# მსაჯობა უნდა გაუმჯობესდეს

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო, მასობრივი და ხანგრძლივი შეჯიბრებაა ჩვენში. ამ ასპარეზობის წინაშე დიდი ამოცანებია დასახული. სპორტის მოყვარულები, განსაკუთრებით რაიონებში, მუდამ ყურადღებით ადევნებენ თვალს თამაშებს, ტურნირის მსვლელობას, ახალი გუნდებისა და მოთამაშეების გამოჩენას.

ცნობილია, თუ რარიგ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მსაჯობას რესპუბლიკურ გათამაშებათა მომსახურებაში. დიდია არბიტრის როლი და პასუხისმგებლობა თითოეული მატჩის მაღალ დონეზე ჩატარებაში, მისი ყოველი პრინციპული, უნარიანი და კვალიფიციური გადაწყვეტილება ხელს უწყობს მწვანე მინდორზე წარმოებულ ბრძოლაში გამარჯვებულის ობიექტურ, მართებულ გამოვლენას, ფეხბურთის საერთო წინსვლას. და რახან ეს ასეა, მსაჯებს ყოველმხრივი ხელშეწყობა, ნორმალური პირობები ესაჭიროებათ ყველგან, სადაც კი ოფიციალური შეჯიბრებები მიმდინარეობს.

მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ელემენტარული ჭეშმარიტება ზოგან ავიწყდებათ და მსაჯს, ფეხბურთის მატჩის ერთ-ერთ ცენტრალურ ფიგურას, ხშირად არ უწევენ აუცილებელ დახმარებას. რა დასამალია, რომ ჩვენი რესპუბლიკის ბევრ სტადიონზე არა აქვთ ხეირიანად მოწყობილი სამსაჯო ოთახი, სადაც კაცს შეეძლება ნორმალურ პირობებში ჩაიცვას ფორმა, გადაათვალიეროს ოქმი, მოემზადოს მატჩისთვის. სპეციალურად გამოყოფილი მორიგეები იქ, როგორც წესი, არ არსებობენ, ოთახში შედის ყველა, ვისაც კი მოეპრიანება და თუ ადგილობრივმა გუნდმა წააგო, განაწყენებული გულშემატკივრები არაფერს არ ერიდებიან, ხშირად შეურაცხყოფასაც კი აყენებენ მსაჯებს. ასეთ ვითარებაში ზოგიერთი არბიტრი ვერ იჩენს სათანადო პრინციპულობას, ექცევა ზედმეტად „ენერგიულ“ პიროვნებათა გავლენის ქვეშ და არ გამოაქვს სწორი საბოლოო გადაწყვეტილება.

ბოლო ხანებში მე დავესწარი რესპუბლიკური ჩემპიონატის რამდენიმე მატჩს და ზოგიერთმა მსაჯმა ერთობ არასახარბიელო შთაბეჭდილება დატოვა. მაგალითად, ერთ-ერთმა ჩვენმა მოწინავე არბიტრმა ე. ჩიფჩიაურმა სერიოზული შეცდომები დაუშვა თბილისის „ლოკომოტივისა“ და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდების შეხვედრაში. იგი, ეტყობა, მოუმზადებელი გამოვიდა მინდორზე, რამაც გარკვეული გავლენა მოახდინა თამაშის საბოლოო შედეგზე.

ასევე შეცდომები ჰქონდა თ. ხადილიანს ფიზკულტურის ინსტიტუტისა და ვანის „სულორის“ მატჩში.

ორივე ეს მაგალითი ეხება თბილისში ჩატარებულ შეხვედრებს, მაგრამ კიდევ უფრო სერიოზული შეცდომები ხდება რაიონებში მსაჯობის დროს, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია განსაკუთრებული მნიშვნელობის, საპასუხისმგებლო მატჩებზე მივლინებულ იქნან გამოცდილი, მაღალი კვალიფიკაციის ინსპექტორი მსაჯები, რომლებიც შეამოწმებენ არა მარტო თავიანთი კოლეგების მსაჯობას, არამედ მათთვის ნორმალური პირობების შექმნაზეც იზრუნებენ. საქართველოს მსაჯთა კოლეგიას დიდი და მდიდარი ტრადიციები აქვს, მის რიგებში მუდამ იყვნენ და არიან მაღალი წოდების, ავტორიტეტული არბიტრები, რომლებიც ინსპექტირების საშუალებით გარკვეულ სამსახურს გაუწევენ ფეხბურთის მატჩების მაღალ დონეზე მომსახურებას.

ნ. ჩხატარაშვილი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

# „მეტალურგი“ — მერვედფინალში

რუსთავის „მეტალურგმა“ 14 სექტემბერს ფიზკულტურის კოლექტივების ფეხბურთელთა საკავშირო თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალური მატჩი ჩაატარა თავის მინდორზე. მისი მეტოქე იყო ამ პრიზის ორგზის მფლობელი — მოსკოვის „ალმაზი“.

მოსკოველებმა თავდაპირველად ძლიერი იერიში განავითარეს და უკვე მე-2 წუთზე თავდამსხმელი პოლიაკოვი პირისპირ გაიყვანეს მეკარე მელაძესთან. ამ მძიმე სიტუაციაში მეკარემ საუკეთესოდ ითამაშა და თავისი გუნდი აშკარა ხიფათს გადაარჩინა.

შემდგომში „მეტალურგმა“ გამოასწორა მდგომარეობა, თვითონ გადავიდა შეტევაზე, რის შედეგადაც ალადაშვილს, ჯიქიას, ავერინს, გოგუაძეს ბურთის გატანის რამდენიმე ხელსაყრელი შესაძლებლობა მიეცათ. 43-ე წუთზე მიქაშავიძე სწრაფად გავიდა რამდენიმე მცველს შორის, ზუსტად მიაწოდა ბურთი სიმონიშვილს და ამ უკანასკნელს არ გაჭირვებია მისი კარში გაგზავნა — 1:0.

შესვენების შემდეგ ინიციატივას კვლავ რუსთაველი ფეხბურთელები ფლობდნენ. მაისურაძემ ძელს მოახვედრა ბურთი, მერე მიქაშავიძემ ახლოდან ააცდინა მიზანს, 79-ე წუთზე კი ჯაფარიძის მიერ დარტყმული ბურთი ზედ კარის ხაზიდან გამოიტანეს „ალმაზის“ მცველებმა.

83-ე წუთზე ალადაშვილმა მეორე ბურთი გაგზავნა მოსკოველთა კარში და „მეტალურგმა“ დამსახურებულად გაიმარჯვა ძლიერ მეტოქესთან შეხვედრაში. ჩვენი გუნდი მერვედფინალში გავიდა.

რ. ბაბრიშიძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).
რუსთავი.




## ჩემპიონატები, შეხვედრები, ცნობები

### ინგლისი

ძალიან ცუდად დაიწყო ახალი საფეხბურთო სეზონი ჩემპიონმა „ლიდს იუნაიტედმა“: შაბათს, 14 სექტემბერს მან მორიგი მატჩი წააგო და სატურნირო ცხრილში ბოლოდან V ადგილზეა. ამ დღეს ჩემპიონი სტუმრად ეწვია „ბერნლის“. ანგარიში ლიდსელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ლორიმერმა გახსნა, მაგრამ მატჩი მასპინძლებმა მოიგეს — 2:1.

მიმდინარე გათამაშებაში პირველად დამარცხდა თასის მფლობელი და ლიდერი „ლივერპული“. მან მანჩესტერში წააგო ადგილობრივ „მანჩესტერ სიტისთან“ — 0:2. გოლები მარშმა და სტიუარტმა გაიტანეს.

ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურმა“ ახალი მწვრთნელის ტ. ნეილის მოსვლა გამარჯვებით აღნიშნა: ანგარიშით 2:1 სძლია ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედს“. გამარჯვების გოლი „მამლების“ ცენტრფორვარდმა ჩივერსმა გაიტანა.

„იფსვიჩ თაუნმა“ სტუმრად მოუგო (4:1) I ლიგის ახალბედა „ლუთონ თაუნს“ და ლიდერობა დაისაკუთრა.

ლიდერთა სამეული:

| | | | |
|---|---|---|---|
| „იფსვიჩ თაუნი“ | 7 | 13:4 | 12 |
| „ლივერპული“ | 7 | 14:6 | 11 |
| „მანჩესტერ სიტი“ | 7 | 13:8 | 11 |

### შოტლანდია

შაბათს გლაზგოში ერთმანეთს შეხვდნენ ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი „სელტიკი“ და „გლაზგო რეინჯერსი“. ამ ტრადიციული მეტოქეების შეხვედრები მუდამ დიდი შეუპოვრობით გამოირჩევა. ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა: ბრძოლა გაჩაღდა მინდორზეც და... ტრიბუნებზეც. ანგარიში „სელტიკის“ თავდამსხმელმა დალგლიშმა გახსნა, მაგრამ მეორე ტაიმში „რეინჯერსმა“ შეძლო ორი ბურთის გატანა და გაიმარჯვა — 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ჰიბერნიენი“ (ედინბურგი) | 3 | 10.4 | 6 |
| „სელტიკი“ | 3 | 10:4 | 4 |
| „სენტ-ჯონსტონი“ | 3 | 5:3 | 4 |

### საფრანგეთი

ჩემპიონმა და თასის მფლობელმა „სენტ-ეტიენმა“ VII ტურში შინ ანგარიშით 2:0 აჯობა პარიზის „რედ-სტარს“ და X ადგილზე გადაინაცვლა.

გათამაშების ლიდერმა „სტად რეიმსმა“ თავის მინდორზე მოუგო „მონაკოს“ — 3:2. ნიმის „ოლიმპიკმა“ აქვე შინ დაამარცხა „რესინგ სტრასბურგი“ — 6:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სტად რეიმსი“ | 7 | 19:11 | 12 |
| „ოლიმპიკი“ (ნიმი) | 7 | 15:10 | 11 |
| „ტრუა“ | 7 | 10:5 | 10 |

### შვეცია

თასის მფლობელმა და მიმდინარე გათამაშების ლიდერმა „მალმემ“ თავის მინდორზე სძლია ვეკშეს „ესტერს“ — 1:0. სტოკჰოლმის აიკ-მა შინ წააგო „ჰამარბიუსთან“ — 0:1. „ნორჩეპინგმა“ საკუთარ სტადიონზე აჯობა ჩემპიონ „ატვიდაბერგს“ — 4:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „მალმე“ | 18 | 27:10 | 30 |
| აიკ | 18 | 29:16 | 25 |
| „ატვიდაბერგი“ | 18 | 35:22 | 22 |

### ჰოლანდია

ამსტერდამის „აიაქსმა“ სტუმრად მოუგო „ბრედას“ — 4:1. თასის მფლობელმა „ეინდჰოვენმა“ შინ მოუგო ჩემპიონს — როტერდამის „ფეიენოორდს“ — 3:2. ენსხედეს „ტვენტემ“ თავის მინდორზე აჯობა „ჰაარლემს“ — 4:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „აიაქსი“ | 2 | 6:1 | 4 |
| „ეინდჰოვენი“ | 2 | 6:3 | 4 |
| „ტვენტე“ | 2 | 4:0 | 3 |

### დანია

„კბ კოპენჰაგენმა“ სტუმრად მოუგო „კოგეს“ — 4:0. ჩემპიონი — კოპენჰაგენის „ჰვიდოვრე“ ანგარიშით 2:3 დამარცხდა „ვეილესთან“ და კვლავ ბოლო, XII ადგილზეა.

| | | | |
|---|---|---|---|
| „კბ კოპენჰაგენი“ | 13 | 30:13 | 20 |
| „1903 კოპენჰაგენი“ | 13 | 27:17 | 17 |
| „რენდერსი“ (ფრეია) | 13 | 20:14 | 15 |

### ესპანეთი

ჩემპიონატის პირველივე ტური სენსაციით აღინიშნა: შარშანდელმა ჩემპიონმა „ბარსელონამ“ სან-სებასტიანში წააგო ადგილობრივ „რეალთან“ — 2:3.

მადრიდის „რეალმა“, რომლის შემადგენლობაში შესანიშნავად ითამაშა ცნობილმა გერმანელმა ნახევარმცველმა ნეცერმა, სტუმრად მოუგო „ვალენსიას“ — 2:1.

### იუგოსლავია

ნოვი სადის „ვოივოდინამ“ განიმტკიცა ლიდერის პოზიცია: შინ აჯობა [illegible] — 2:0. „რიეკამ“ [illegible] „ცრვენა ზვეზდამ“ [illegible] — 1:1. მოსტარის „ველეჟმა“ თავის მინდორზე სასტიკად დაამარცხა ჩემპიონი და თასის მფლობელი — სპლიტის „ჰაიდუკი“ — 5:0. ჩემპიონი VI ადგილზეა.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ვოივოდინა“ | 5 | 8:1 | 9 |
| „ცრვენა ზვეზდა“ | 5 | 12:4 | 8 |
| „რადნიჩკი“ (ნიში) | 5 | 5:2 | 8 |

### უნგრეთი

ჩემპიონმა „უიპეშტ დოჟამ“ სძლია ბუდაპეშტის „ვაშაშს“ — 3:1. ბუდაპეშტის გუნდებმა „ჰონვედმა“ და „ფერენცვაროშმა“ ფრედ ითამაშეს — 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „უიპეშტ დოჟა“ | 3 | 9:5 | 6 |
| „ჰონვედი“ | 3 | 5:2 | 5 |
| „ბებესკაბა“ (სენტენდრე) | 3 | 8:6 | 4 |

(საქ. ინფ.)

## ახალი ღრუბლები „დიდი ტომის“ თავზე

ლონდონი, 14 სექტემბერი. „ლაუტონი კვლავ სამართალშია მიცემული“, „ტომის თავზე ისევ მოიქუფრა ცა“ — ასეთი სათაურებითაა აჭრელებული ამ დღეებში ლონდონის გაზეთები.

სულ რამდენიმე თვის წინათ ინგლისის სპორტის მოყვარულები მღელვარებით ადევნებდნენ თვალს დიდი ბრიტანეთის ფეხბურთის ისტორიის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის ტომი ლაუტონის სასამართლოს დამთავრებას. ვალის გადაუხდელობისთვის ლაუტონს ციხე ემუქრებოდა. მაშინ იგი როგორლაც დაუძვრა საპატიმროს: სასამართლომ აცალა და საკმაო გაჭიანურების შემდეგ გულშემატკივრებმა საჭირო 74 გირვანქა სტერლინგი მოაგროვეს.

ახლა ლაპარაკია სულ პაწაწინა თანხაზე — ათ გირვანქაზე, რომელიც ტომიმ თავის ახლო ნაცნობს, ვინმე როლანდ დეატს გამოართვა და არ დაუბრუნა. ნაცნობს ლოდინი მობეზრდა და ლაუტონს სასამართლოში უჩივლა.

ეს ვალი და მთელი ეს ამბავი ვინმეს შეიძლება სასაცილოდ მოეჩვენოს, მაგრამ ლაუტონს დანა კბილს არ უხსნის — მას ასეთი პატარა ვალის გადახდის საშუალებაც არა აქვს. „მე მართლაც გამოვართვი როლანდს 10 გირვანქა, თუმცა ვიცოდი, რომ ნამდვილად ვერ შევძლებდი მის გასტუმრებას. მაგრამ სხვა გამოსავალი არ მქონდა — ოჯახი ულუკმაპუროდ იყო დარჩენილი. მე სასოწარკვეთილი ვიყავი“, — განაცხადა „დიდმა ტომიმ“ პოლიციაში.

როგორ ჩავარდა ასეთ შავ დღეში ინგლისის ნაკრების მრავალგზის კაპიტანი, რომელმაც მეტოქეთა კარში 400-ზე მეტი ბურთი გაიტანა და რომელიც თავისი ოსტატობით ასეულ ათასობით მაყურებელს აღაფრთოვანებდა?

დიდი სპორტიდან „დიდი ტომის“ (ასე უწოდებდა მას მსოფლიო პრესა) წასვლის შემდეგ იგი უკვე ალარავის ესაჭიროებოდა. ლაუტონმა ვერ იშოვა ასე თუ ისე წესიერი სამუშაო, დანაზოგები კი თვალსა და ხელს შუა ქრებოდა. როცა მას გულის ავადმყოფობა განუვითარდა, ტომი იძულებული შეიქნა ინგლისელ უმუშევართა არმია შეევსო. ახლა ამ 55 წლის კაცს არსებობის სახსარი არა აქვს...

ქალაქ ნოტინგემის სასამართლომ ლაუტონის საქმის გარჩევა რამდენიმე კვირით გადადო ყველა წვრილმანის გამოსაძიებლად. გაზეთები აღნიშნავენ, ამჯერად ტომი ალბათ ვერ გადაურჩება პატიმრობას, ვინაიდან სასამართლო მეორედ უკვე აღარ მიიღებს მხედველობაში მის დამსახურებას ბრიტანული სპორტის წინაშე. მაგრამ თუ სასწაული მოხდა და სასამართლოს სხდომის შემდეგ ლაუტონი პატიმრობიდან გაათავისუფლეს, განა ამით ბევრი რამ შეიცვლება? „დიდი ტომის“ ხვედრი ხომ ახლა ვალები და სიღარიბეა.

მ. ოზეროვი.
(საქინფორმის კორ.)



სურათზე ყოფილ თანაგუნდელებს ხედავთ. მაშინ, როცა ეს თასი (ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი) მოიპოვეს, ორივე ამსტერდამის „აიაქსში“ თამაშობდა. მაგრამ ახლა პიტ კაიზერი (მარცხნივ) და იოჰან კრუიფი სხვადასხვა კლუბში, თანაც სხვადასხვა ქვეყანაში თამაშობენ. კაიზერი უწინდებურად „აიაქსის“ კაპიტანია, კრუიფი კი ესპანეთის „ბარსელონაში“ თამაშობს. აქ ისინი მაშინ არიან გადაღებული, როცა ამ საპატიო პრიზის მოპოვების შემდეგ ამსტერდამის მუნიციპალური თეატრის აივანზე დგანან და თასს აღფრთოვანებული გულშემატკივრების ზღვას უჩვენებენ.

სხვათა შორის, ამას წინათ დედოფალმა იულიანამ მსოფლიოს X ჩემპიონატში ჰოლანდიის ნაკრების წარმატებით გამოსვლისთვის რაინდის წოდება უბოძა გუნდის კაპიტანს კრუიფს და ნაკრების მწვრთნელებს რინუს მიხელსსა და ფრანტიშეკ ფადრონკს.

ანპ-ს ფოტო.

## ახალი ამბები-74

● კალინინგრადი, 11 სექტემბერი. ჟურნალ „სპორტივნაია ჟიზნ როსიის“ პრიზზე გამართულ მარათონულ რბენაში, რომელიც ამავე დროს რუსეთის ფედერაციის ოფიციალური პირველობაა, ყველას აჯობა პენზელმა სპორტის ოსტატმა ფ. აჯიგიიტოვმა — 2:19.43. ფინიშთან მეორე იყო ულიანოვსკელი ნ. ტიმრიაკოვი — 2:20.00. ბრინჯაოს მედალი სვერდლოვსკელ ა. კოსტანს ხვდა — 2:20.04. შეჯიბრებაში 200-მდე მძლეოსანი მონაწილეობდა, მათ შორის კალინინგრადის ოლქის მეზობელი სპორტსმენები პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ოლშტინის სავოევოდოდან. ქალაქისა და ახლომდებარე სოფლების ათასობით მცხოვრები გულთბილად ეგებებოდა შეჯიბრების მონაწილეებს.

● *ჰუსკვარნა, 15 სექტემბერი. შვეციის ამ ქალაქის შემოგარენში დიდი ინტერესი გამოიწვია მოტოკროსში მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნითმა ეტაპმა „500-ანების“ კლასში. შეჯიბრებაში 12 ქვეყნის 48 სპორტსმენი მონაწილეობდა. საბჭოთა ნაკრებმა (ლენინგრადელები გ. მოისეევი, პ. რულიოვი, ა. ბოჩკოვი, კალინინგრადელი ვ. პოპენკო) ისევე როგორც შარშან, ამჯერადაც ბრინჯაოს ჯილდო მოიხვეჭა. უძლიერესის სახელი შვეციის ნაკრებმა დაიმსახურა. ყველასთვის მოულოდნელი იყო ამერიკელ მრბოლელთა წარმატება, რომლებმაც II გუნდური ადგილი დაიკავეს.*

● კატმანდუ, 15 სექტემბერი. ტრაგიკულად დამთავრდა ფრანგი მთამსვლელების ცდა ასულიყვნენ დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე ჯომოლუნგმაზე (8848 მ), რომელსაც ზოგჯერ „მესამე პოლუსს“ უწოდებენ. როცა მოიერიშე ჯგუფი მწვერვალისკენ მიდიოდა, ზვავმა ექსპედიციის ხელმძღვანელი ჟ. დევუასო იმსხვერპლა. ხელმძღვანელობა ჟ. პეიომ ითავა, რომელმაც გადაწყვიტა შეეწყვიტათ ასვლა. ფრანგი მთამსვლელები ჯომოლუნგმის დალაშქვრას უაღრესად ციცაბო დასავლეთის კედლით აპირებდნენ. წინა ექსპედიციები მწვერვალს სამხრეთის ფერდობით უტევდნენ.

## ახალი ამბები-74

## ძალებს ცდიან

10-13 ოქტომბერს კატოვიცეში ჩატარდება კლასიკური სტილის მოჭიდავეთა მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი. ამ შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტის წინასწარი ვარაუდით, ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ 43 ქვეყნის ათლეტები. ამჟამად ისინი ენერგიულად ემზადებიან — სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებაში ცდიან ძალებს.

ერთ-ერთი ასეთი ტურნირი ამას წინათ ვარშავაში ჩატარდა. ეს იყო ცნობილი პოლონელი ათლეტის ვლადისლავ პიტლიასინსკის VII მემორიალი. ასპარეზობამ თავი მოუყარა 10 ქვეყნის უძლიერეს „კლასიკოსებს“. წონითი კატეგორიების მიხედვით საუკეთესონი აღმოჩნდნენ: გ. გეორგიევი (ბულგარეთი), ი. მიხალიკი (პოლონეთი), ვ. ბეკტემიროვი (სსრ კავშირი), კ. ლიპენი (პოლონეთი), ბ. ჩიფუდოვი (ბულგარეთი), ს. კშესინსკი (პოლონეთი), მ. ჰეგედიუში (უნგრეთი), ს. ნიკოლოვი, გ. იგნატოვი (ორივე — ბულგარეთი), ჰ. ტომანეკი (პოლონეთი).

ტურნირის ერთ-ერთ მთავარ სენსაციად უნდა მივიჩნიოთ მსოფლიოს ჩემპიონის, რუმინელი ნ. გინგას (52 კგ) წაგება ახალგაზრდა პოლონელ ი. მიხალიკთან.

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

### თბილისის სპორტულ ბაზებზე

მძლეოსნობა. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 17-18 სექტემბერი. საქართველოს საუწყებო ჩემპიონატი. დასაწყისი 16 ს.

ჭადრაკი. ჭადრაკის სასახლე (ლენინის ქ. № 37). ყრუ-მუნჯ მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალი. 17-25 სექტემბერი. 17 სექტემბერს გათამაშდება X ტური, 18-ში, — გადადებული პარტიები, 19-ში — XI ტური. დასაწყისი 15 ს.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი. ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება—99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება—93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია— 93-97-58, გამომშვები—93-93-81, კორექტორები — 93-97-49.